

-2

შემცირება

ბიზნესის განწყობა
უბრუნდება რეალობას

კვIII 2017


კვლევაში მონაწილე
კომპანიები



მცირე და საშუალო



კვლევის ძირითადი შედეგები



ქართული ბიზნესის განწყობის ინდექსი (BCI) 2017 წლის მესამე კვარტალში უმნიშვნელოდ შემცირდა და 27.0 ერთეულს მიაღწია, რაც წინა კვარტალთან შედარებით 2 პუნქტით დაბალია. მესამე კვარტალში ინდექსის შემცირება ძირითადად მოლოდინების ინდექსების მნიშვნელოვანმა ვარდნამ განაპირობა, რაც წინა კვარტალის მონაცემების გათვალისწინებით შეიძლება აიხსნას კერძო სექტორის განწყობის რეალობასთან თანხვედრით და არა გაუარესებული ეკონომიკური მდგომარეობით.

მეორე კვარტალში შესამჩნევი ზრდის შემდეგ (12.3 პუნქტით გაუმჯობესება), მიმდინარე მდგომარეობის ინდექსი, რომელიც გასული სამი თვის ბიზნესის მდგომარეობას გვიჩვენებს, მესამე კვარტალში (11.2 პუნქტით) გაიზარდა. სხვა სექტორებთან შედარებით, მშენებლობის დარგმა ყველაზე დადებითად შეაფასა საკუთარი საქმიანობა.

ბიზნესის ოპტიმიზმი მეორე კვარტალთან შედარებით 18,8 ერთეულით დაეცა, თუმცა 2016 წლის მესამე კვარტალთან შედარებით მაღალი დონე შეინარჩუნა. მრეწველობისა და ვაჭრობის დარგების მცირე და საშუალო ფირმების წარმომადგენლებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ბიზნესის ოპტიმიზმის შემცირებაში.

გასაყიდი ფასების მოლოდინების ინდექსი ზღვრულად შემცირდა. მომსახურების დარგში მოლოდინები ბიზნესები მომდევნო კვარტალში ფასების ყველაზე დიდ შემცირებას მოელოებიან, ამავედროულად ფასების ყველაზე მაღალი ზრდა პროგნოზირებულია სოფლის მეურნეობის დარგში. საერთო ჯამში, ფასების მნიშვნელოვანი ზრდა მომდევნო თვეებში არ არის მოსალოდნელი.

მცირე და საშუალო ზომის ბიზნესებთან შედარებით, დიდი ზომის ბიზნესების მოლოდინების ინდექსი უფრო მეტად შემცირდა, მაგრამ მიმდინარე მდგომარეობის ინდექსის მაჩვენებელი შედარებით მეტად გაიზარდა, რაც საბოლოოდ ზრდის მცირე და საშუალო ზომისა და დიდი ზომის ბიზნესების განწყობის ინდექსებს შორის განსხვავებას.

მიუხედავად ზომისა, გამოკითხული ბიზნესების უმეტესობა საკუთარი საქმიანობის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან შემზღვეველ ფაქტორად მოთხოვნის სიმცირესა და ფინანსებზე წვდომას ასახელებს.

მეთოდოლოგიის სანახავად, გადადით მომდევნო ბმულზე
BCI-ის მონაცემების სანახავად, გადადით მომდევნო ბმულზე

(*) ბიზნესის განწყობის ინდექსი იცვლება [-100; +100] შკალაზე. ინდექსის სიდიდე გვიჩვენებს გამოკითხული რესპოდენტების დადებითი და უარყოფითი პასუხების შენეილ ბალანსს. თუკი გამოკითხული ბიზნესების 100% იქნება პოზიტიურად განწყობილი, მაშინ ინდექსი გაუტოლდება 100-ს. -100 ნიშნავს, რომ ყველა გამოკითხული ბიზნესი უარყოფითად არის განწყობილი. ხოლო, თუ განწყობის ინდექსი გაუტოლდება 0-ს, ნიშნავს, რომ დადებითად და უარყოფითად/ნეიტრალურად განწყობილი ბიზნესების განაწილება თანაბარია (მეტი ინფორმაციისათვის იხილეთ მეთოდოლოგიური მენიშვნები).